შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბორან მაინინგ ენდ კო
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში 4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 8
მოძრაობის ანგარიშგება 8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10
შესაბამისობის ანგარიში 10
შეფასების საფუძველი 10
ფასს-ების პირველად გამოყენება. 10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი 11
რისკის მართვა 23
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები 26
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
მმართველობის ანგარიში 28

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბორან მაინინგ ენდ კო“-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბორან მაინინგ ენდ კო“-ს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი შენიშვნების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სხვა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 10 ივლისს და ამდენად, 2020 წლის 31 დეკემბრის. 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების, ნაღდი ფულის და ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების, ნაღდი ფულის და ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

10 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ:(995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel:(995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

10 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შპს "ფინანსური მართვის ჯგუფი" FINANCIAL MANAGEMENT GROUP LTD FMG GEORGIA 205279660

	შენიშვნა	01.01.20119	31.12.2019	31.12.2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	**3**	3,154,059	2,276,959	2,835,117
არამატერიალური აქტივები		306,696	306,696	295,680
საინვესტიციო ქონება	**4**	141,886	174,094	164,850
აქტივი გამოყენების უფლებით	**5**	-	922,887	1,395,472
სულ გრძელვადიან აქტივები		**3,602,642**	**3,680,636**	**4,691,119**
მიმდინარე აქტივები				
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	**6**	53,552	57,196	1,453,773
გადახდილი გადასახადები		-	-	236,894
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**7**	4,683,841	6,829,252	10,746,372
გადახდილი ავანსები		513,139	2,489,737	1,888,211
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**8**	4,328,635	5,513,255	5,593,638
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**9**	304,702	259,055	675,831
სულ მიმდინარე აქტივები		**9,883,871**	**15,148,494**	**20,594,719**
სულ აქტივები		**13,486,513**	**18,829,130**	**25,285,838**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		2,114,472	3,146,513	5,247,881
სულ კაპიტალი		**2,114,572**	**3,146,613**	**5,247,981**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	**10**	3,922,406	4,698,559	10,232,471
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება		-	936,154	1,460,777
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3,922,406**	**5,634,713**	**11,693,248**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**11**	5,654,802	2,358,530	2,882,548
გადასახდელი ხელფასები		1,125,816	1,556,919	1,465,301
მიღებული ავანსები	**11**	-	1,759,396	1,767,130
გადასახდელი პროცენტები		148,171	124,619	102,168
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი		-	3,378,387	1,796,493
გადასახდელი გადასახადები		520,746	869,953	330,969
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**7,449,534**	**10,047,804**	**8,344,609**
სულ ვალდებულებები		**11,371,940**	**15,682,517**	**20,037,857**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**13,486,513**	**18,829,129**	**25,285,839**

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	01.01.20119	31.12.2019	31.12.2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	**3**	3,154,059	2,276,959	2,835,117
არამატერიალური აქტივები		306,696	306,696	295,680
საინვესტიციო ქონება	**4**	141,886	174,094	164,850
აქტივი გამოყენების უფლებით	**5**	-	922,887	1,395,472
სულ გრძელვადიან აქტივები		**3,602,642**	**3,680,636**	**4,691,119**
მიმდინარე აქტივები				
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	**6**	53,552	57,196	1,453,773
გადახდილი გადასახადები		-	-	236,894
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**7**	4,683,841	6,829,252	10,746,372
გადახდილი ავანსები		513,139	2,489,737	1,888,211
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**8**	4,328,635	5,513,255	5,593,638
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**9**	304,702	259,055	675,831
სულ მიმდინარე აქტივები		**9,883,871**	**15,148,494**	**20,594,719**
სულ აქტივები		**13,486,513**	**18,829,130**	**25,285,838**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		2,114,472	3,146,513	5,247,881
სულ კაპიტალი		**2,114,572**	**3,146,613**	**5,247,981**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	**10**	3,922,406	4,698,559	10,232,471
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება		-	936,154	1,460,777
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3,922,406**	**5,634,713**	**11,693,248**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**11**	5,654,802	2,358,530	2,882,548
გადასახდელი ხელფასები		1,125,816	1,556,919	1,465,301
მიღებული ავანსები	**11**	-	1,759,396	1,767,130
გადასახდელი პროცენტები		148,171	124,619	102,168
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი		-	3,378,387	1,796,493
გადასახდელი გადასახადები		520,746	869,953	330,969
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**7,449,534**	**10,047,804**	**8,344,609**
სულ ვალდებულებები		**11,371,940**	**15,682,517**	**20,037,857**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**13,486,513**	**18,829,129**	**25,285,839**

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო * BORUN MINING & CO LLC * 205257924

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	30,697,718	34,528,764
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(23,883,728)	(24,589,723)
მთლიანი მოგება		**6,813,990**	**9,939,041**
მიწოდების ხარჯი	14	(1,383,842)	(2,186,747)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,289,352)	(1,294,469)
ხელფასის ხარჯი		(2,253,198)	(1,417,335)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(365,381)	(497,360)
საოპერაციო მოგება		**1,522,217**	**4,543,131**
არასაოპერაციო შემოსავალი		597,993	389,058
არასაოპერაციო ზარალი		(265,841)	(98,091)
საპროცენტო შემოსავალი		3,958	97,575
საპროცენტო ხარჯი		(529,985)	(832,023)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(296,302)	(1,998,281)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**(490,176)**	**(2,441,762)**
მოგება დაბერგვრამდე		**1,032,040**	**2,101,369**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**1,032,040**	**2,101,369**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		**1,032,040**	**2,101,369**

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	30,697,718	34,528,764
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(23,883,728)	(24,589,723)
მთლიანი მოგება		**6,813,990**	**9,939,041**
მიწოდების ხარჯი	14	(1,383,842)	(2,186,747)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,289,352)	(1,294,469)
ხელფასის ხარჯი		(2,253,198)	(1,417,335)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(365,381)	(497,360)
საოპერაციო მოგება		**1,522,217**	**4,543,131**
არასაოპერაციო შემოსავალი		597,993	389,058
არასაოპერაციო ზარალი		(265,841)	(98,091)
საპროცენტო შემოსავალი		3,958	97,575
საპროცენტო ხარჯი		(529,985)	(832,023)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(296,302)	(1,998,281)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**(490,176)**	**(2,441,762)**
მოგება დაბერგვრამდე		**1,032,040**	**2,101,369**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**1,032,040**	**2,101,369**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		**1,032,040**	**2,101,369**

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო * BORUN MINING & CO LLC * 205257924

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	**100**	**2,114,472**	**2,114,572**
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-		-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	1,032,040	1,032,040
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**100**	**3,146,513**	**3,146,613**
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	2,101,369	2,101,369
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**100**	**5,247,881**	**5,247,981**

_____

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო

კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	**100**	**2,114,472**	**2,114,572**
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-		-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	1,032,040	1,032,040
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**100**	**3,146,513**	**3,146,613**
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
დივიდენდის განაწილება	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	2,101,369	2,101,369
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**100**	**5,247,881**	**5,247,981**

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო * BORUN MINING & CO LLC * 205257924

	2019	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	1,032,040	2,101,369
კორექტირება:	-	-
ცვეთის ხარჯი	365,381	497,360
ანარიცხების კორექტირება	124,011	211,054
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	296,302	1,998,281
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	**1,817,734**	**4,808,063**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,450,265)	(233,816)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(2,145,410)	(3,917,120)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(1,976,597)	601,525
ცვლილებები სხვა მკლევადიან აქტივებში	73,090	(1,404,893)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	1,759,396	7,734
ცვლილებები გაუცემელ ხელფასებში	386,999	(27,036)
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	(30,790)	(20,577)
ცვლილებები გადასახადებში	349,207	(786,867)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(3,224,366)	225,664
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(4,441,003)**	**(747,323)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითადი საშუალების გასვლიდან	2,578,233	(1,000,392)
ცვლილებები ძირითადი საშუალების მიღებიდან	(2,010,196)	47,227
ცვლილებები არა მატერიალურ აქტივებში	-	(25,462)
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	(39,952)	19,371
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**528,085**	**(959,255)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	-	-
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის გადახდა	(12,455)	(21,067)
მიღებული სესხები	3,957,228	2,167,471
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**3,944,773**	**2,146,404**
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(77,503)	(23,050)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	**(45,648)**	**416,776**
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	304,702	259,055
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**259,055**	**675,831**

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2019	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	1,032,040	2,101,369
კორექტირება:	-	-
ცვეთის ხარჯი	365,381	497,360
ანარიცხების კორექტირება	124,011	211,054
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	296,302	1,998,281
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	**1,817,734**	**4,808,063**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,450,265)	(233,816)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(2,145,410)	(3,917,120)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(1,976,597)	601,525
ცვლილებები სხვა მკლევადიან აქტივებში	73,090	(1,404,893)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	1,759,396	7,734
ცვლილებები გაუცემელ ხელფასებში	386,999	(27,036)
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	(30,790)	(20,577)
ცვლილებები გადასახადებში	349,207	(786,867)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(3,224,366)	225,664
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(4,441,003)**	**(747,323)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითადი საშუალების გასვლიდან	2,578,233	(1,000,392)
ცვლილებები ძირითადი საშუალების მიღებიდან	(2,010,196)	47,227
ცვლილებები არა მატერიალურ აქტივებში	-	(25,462)
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	(39,952)	19,371
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**528,085**	**(959,255)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	-	-
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის გადახდა	(12,455)	(21,067)
მიღებული სესხები	3,957,228	2,167,471
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**3,944,773**	**2,146,404**
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(77,503)	(23,050)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	**(45,648)**	**416,776**
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	304,702	259,055
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**259,055**	**675,831**

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო * BORUN MINING & CO LLC * 205257924

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ბორან მაინინგ ენდ კო“ (შემდგომში ”ჯგუფი”) დაფუძნდა 2008 წლის 26 ივნისს, მარეგისტრირებელი ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი. გამრეკელის ქუჩა N19, III სართ, ოფისი N8 კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელი შპს იბერტეკ გრუპი.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათების და სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო რეალიზაცია.

კომპანია ფლობს წილებს შემდეგ კომპანიაში:

		კომპანიის ფლობილი წილი		
დასახელება	**რეგისტრაციის ქვეყანა**	**31 დეკემბერი 2020**	**1 იანვარი 2020**	**საქმიანობა**
შპს ბორან ლაითი	საქართველო	100%	100%	ვაჭრობა

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის პირველი წლიური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს). კომპანიის ფასსზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, ფასს 1 ჯგუფისგან მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოქმედი რედაქციების რეტროსპექტიულ გამოყენებას.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელთა პირვანდელი ღირებულება რეალური ღირებულებით არის შეფასებული.

ფასს-ების პირველად გამოყენება.

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ, შეჯერება და იმის ახსნა, თუ როგორი გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე, წარმოდგენილი არ არის ამ ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 1-ით მოითხოვება ფასს-ზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფლობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები და გადაწყვიტა არ გამოეყენებინა ნებაყოფლობითი გათავისუფლება.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი ასევე ქვეყანაში არსებული კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოველით გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	3.2766
ლარი/1 ევრო	3.2095	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიაში ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხორციელდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ტესტირება და არსებითი გავლენის შემთხვევაში მისი კორექტირება. საკუთრებაში არსებული მარაგების არსებითი ნაწილი მოიცავს სწრაფად ბრუნვად მარაგებს და არ არის გაუფასურებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე ან მათგან საკომპენსაციო თანხის წინასწარ მიღების შემთხვევაში, რა დროსაც აღნიშნული თანხა იდენტიფიცირებულია როგორც მიღებული ავანსები. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა,

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 "მოგების გადასახადებით" არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად ან ორივე ერთად და არ არის დაკავებული მის მიერ.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოიცავს საინვესტიციო ქონების აღრიცხვას თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით.

საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

საიჯარო შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებად, შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა კომპანიისათვის სავარაუდოა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა შეკეთება-შენარჩუნების ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.
თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მფლობელი, მისი რეკლასიფიცირება ხდება ძირითად საშუალებად, ხოლო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება რეკლასიფიცირების თარიღში მისი ღირებულების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გაქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კომპანია როგორც მოიჯარე

ჯგუფი მიმართვას ერთიანი აღიარებისა და გაზომვის მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების აქტივების. ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს რათა მოახდინოს იჯარის გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლება, რომელიც წარმოადგენს იდენტიფიცირებული აქტივზე უფლებას.

სესხები

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

ჯგუფის ასევე გაცემული აქვს სესხები სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე და საანგარიშო პერიოდის ბოლოს გააჩნია მოთხოვნები მისაღები სესხებიდან და მასზე დარიცხული პროცენტებიდან,

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ჯგუფს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

ჯგუფი, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2020ს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის თავდაპირველი გამოყენების გავლენა ფასს 9-ში და ფასს 7-ში;
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები; • საიჯარო გადასახადების ცვლილებების აღრიცხვაზე გავლენა, გათავისუფლების გამოყენებით;
- სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების საწყისი გამოყენების გავლენა, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

- ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოში მითითებების შეტანა;
- ფასს 3-ში შესწორებები ბიზნესის განმარტებაში;
- ბასს 1-ში და ბასს 8-ში შესწორებები მასალების განმარტებაში;

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში (გაგრძელება)

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები2;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)4;
- ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება1;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე1.
- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია3;

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება	მიწის ნაკვეთები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა,	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	ჯამი
ბალანსი 31/12/2018	**-**	**1,613,147**	**134,009**	**233,409**	**337,935**	**275,559**	**560,000**	**3,154,059**
დანამატები	-	70,502	39,665	242,720	216,266	609,430		1,178,581
აქტივის ჩამოწერა	-	(2,778,410)	(100,000)	-	(264,376)	-		(3,142,785)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(36)	(13,656)	(83,200)	(153,067)	(59,104)		(309,063)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	1,260,200	30,971	-	104,995	-		1,396,167
ბალანსი 31/12/2019	**-**	**165,404**	**90,989**	**392,928**	**241,753**	**825,885**	**560,000**	**2,276,959**
	-							
დანამატები	726,000	-	57,878	184,820	32,521	16,280		1,017,499
აქტივის ჩამოწერა	-	-	-	(38,852)	(17,891)	-		(56,743)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(99,701)	(18,193)	(120,364)	(68,552)	(105,302)		(412,113)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	1,565	7,950	-		9,516
ბალანსი 31/12/2020	726,000	65,702	130,674	420,098	195,781	736,863	560,000	2,835,117
ბალანსი 31/12/2019	**-**	**165,404**	**90,989**	**392,928**	**241,753**	**825,885**	**560,000**	**2,276,959**
ბალანსი 31/12/2020	**726,000**	**65,702**	**130,674**	**420,098**	**195,781**	**736,863**	**560,000**	**2,835,117**

- *საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები უზრუნველყოფაშია სასესხო ხელშეკრულებების შესაბამისად.*

შენიშვნა 4 - საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს იჯარით გაცემულ საცხოვრებელ ფართს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით და მისი რეალური საბაზრო ღირებულება შეადგენს 325 000 ლარს.

	31.12.2019	31.12.2020
1 იანვარი	141,886	174,094
დანამატი	41,451	-
ცვეთის ხარჯი	(9,244)	(9,244)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი	**174,094**	**164,850**

შენიშვნა 5 - იჯარები

კომპანია როგორ მოიჯარე

ჯგუფს გაფორმებული აქვს სხვადასხვა სახის გრძელვადიანი საიჯარო კონტრაქტები საოფისე და სასაწყობო ფართის იჯარაზე. იჯარის ხელშეკრულებები გაფორმებულია 20 წლამდე ვადით. ცხრილში მოცემულია აღნიშნული კონტრაქტებით წარმოქმნილი აქტივი გამოყენების უფლებით და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებების ცვლილებები

	შენობა-ნაგებობები
ფასს 16-ზე გადასხვლის ეფექტი	**971,460**
დანამატი	-
გასვლა	-
ცვეთის ხარჯი	(48,573)
31 დეკემბერი 2019	**922,887**
დანამატი	548,588
გასვლა	-
ცვეთის ხარჯი	(76,003)
31 დეკემბერი 2020	**1,395,472**

გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება და მისი მიმდინარე ნაწილი

	შენობა-ნაგებობები
ფასს 16-ზე გადასხვლის ეფექტი	971,460
დანამატი	-
გასვლა	-
ძირის დაფარვა	(15,027)
31 დეკემბერი 2019	**956,433**
დანამატი	548,588
გასვლა	-
ძირის დაფარვა	(18,495)
31 დეკემბერი 2020	**1,486,526**

შენიშვნა 6 - გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის მიერ გაცემული გრძელვადიანი სესხები მოიცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებს და დარიცხულ პროცენტებს

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31/12/2019	31.12.2020
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხები	ლარი	20%	29,008	32,536
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	ლარი	20%	11,780	1,326,015
მისაღები პროცენტები			16,408	95,222
ანარიცხები			-	-
სულ გაცემული სესხები და დარიცხული პროცენტები			**57,196**	**1,453,773**

შენიშვნა 7 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ მარაგებს

	31.12.2019	31.12.2020
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6,807,379	10,738,387
ნედლეული და მასალები	21,873	7,985
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**6,829,252**	**10,746,372**

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს საბალანსო ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ ანარიცხებს:

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	5,634,582	5,928,002
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	2,684	-
გადახდილი ავანსები	2,489,737	1,888,211
ანარიცხები	(124,011)	(334,363)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**8,002,991**	**7,481,850**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

	სავაჭრო მოთხოვნების - ვადაგადაცილებული დღეები 2020			
მოთხოვნები	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	763,172	1%	(7,632)	755,540
30-90 დღის ვადაგადაცილება	2,488,137	3%	(74,644)	2,413,493
91-180 დღის ვადაგადაცილება	1,440,847	5%	(72,042)	1,368,805
181-360 დღის ვადაგადაცილება	850,227	15%	(127,534)	722,693
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	52,512	100%	(52,512)	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	**5,594,895**		**(334,364)**	**5,260,531**

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

	სავაჭრო მოთხოვნების - ვადაგადაცილებული დღეები 2019			
მოთხოვნები	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	4,435,882	1%	(44,359)	4,391,523
30-90 დღის ვადაგადაცილება	851,053	3%	(25,532)	825,521
91-180 დღის ვადაგადაცილება	116,517	5%	(5,826)	110,691
181-360 დღის ვადაგადაცილება	73,188	15%	(10,978)	62,210
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	37,316	100%	(37,316)	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	**5,513,956**		**(124,010)**	**5,389,946**

შენიშვნა 9 -ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2019	31.12.2020
ფული სალაროს ანგარიშზე	53,770	174,084
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	200,521	473,599
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	4,763	28,148
სულ -ფული და ფულადი ექვივალენტები	**259,055**	**675,831**

შენიშვნა 10 - გრძელვადიანი სესხი და მიმდინარე ნაწილი

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხებს და მის მიმდინარე ნაწილს როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31/12/2019		31/12/2020	
				ვალუტა	ექვივალენტი ლარი	ვალუტა	ექვივალენტი ლარი
შ.პ.ს ბორან ჯ	USD	13.50%	2022	15,000	43,016	9,908	32,464
პროკრედიტ ბანკი	USD	7%	2021	1,000,000	2,867,700	-	-
პროკრედიტ ბანკი	EUR	4.75%	2022	1,510,517	4,848,004	1,121,364	4,511,584
ჯანიკო ყაფლანიშვილი	GEL	11.20%	2021	-	127,030	-	-
პროკრედიტ ბანკი	EUR	4.75%	2023	-	-	513,522	2,066,054
პროკრედიტ ბანკი	GEL	11.50%	2022	-	-	-	3,032,300
პროკრედიტ ბანკი	GEL	12%	2023	-	-	-	1,414,827
პროკრედიტ ბანკი	USD	7%	2023	-	-	250,246	819,957
ნატო ყაფლაინიშვილი	GEL	6.9%	2021	-	-	337	1,106
შპს ბორან ჯ	GEL	7%	2023	-	40,080	-	33,817
შპს ბორან ლაითი	GEL	7%	2021	-	11,000	-	
ნატო ყაფლაინიშვილი	GEL	7%	2023	-	-	-	31,118
ყაფლანიშვილი ჯანიკო	GEL	7%	2021	-	117,266	-	70,988
სულ სასესხო ვალდებულებები				**2,525,517**	**8,054,095**	**1,895,378**	**12,014,215**

შენიშვნა 11 - სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	2,225,472	2,713,786
მიღებული ავანსები	1,892,454	1,935,892
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**4,117,926**	**4,649,677**

შენიშვნა 12 -შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავალი მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც არ არის შემცირებული შემდგომ პერიოდში საგარანტიო მომსახურების ფარგლებში გასაწევი მომსახურების ღირებულების პროპორციულად. გაყიდული საქონლის საგარანტიო მომსახურების ხარჯები არ აღემატება შემოსავლის ერთ პროცენტს, შესაბამისად მიდი გავლენა პერიოდის შემოსავლებზე უმნიშვნელოა

	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	31,012,052	35,522,521
გაყიდული საქონელის უკან დაბრუნება	(375,084)	(997,347)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	60,751	3,590
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**30,697,718**	**34,528,764**

შენიშვნა 13 - თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯები მოიცავს ჩამოწერილი მარაგების ღირებულებას რომელიც შემცირებულია პერიოდის უკან დაბრუნებით. კომპანიაში საქონლის უკან დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი არ იხდის რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნაზე შესაბამის ფულად კომპენსაციას, ან ხდება მაღაზიის დაკეტვა. დანერგილი პოლიტიკით არ არის განსაზღვრული გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება, შესაბამისად აღნიშნული კორექტირებები არ არის განხორციელებული პერიოდის შემოსავლებში

	31.12.2019	31.12.2020
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	68,490	18,107
გაყიდული/შეძენილი საქონელი	24,283,054	25,289,236
შეძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	(465,054)	(723,563)
სასაქონლო-მატერიალ. მარაგის კორექტირება	23,278	7,207
სულ თვითღირებულების ხარჯი	**23,883,728**	**24,589,723**

შენიშვნა 14 - მიწოდების ხარჯები

	31.12.2019	31.12.2020
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯიხარჯი	733,989	1,172,576
ხელფასის ხარჯი	663,445	732,492
საწვავის ხარჯი	-	137,708
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	13,195	87,942
ავტომობილების დაზღვევის ხარჯი	-	21,691
მიწოდების სხვა ხარჯი	6,604	34,338
სულ მიწოდების ხარჯები	**1,383,842**	**2,186,747**

შენიშვნა 15 - ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2019	31.12.2020
დაზღვევის ხარჯი	21,705	13,141
საკომუნიკაციო ხარჯი	13,937	22,614
საოფისე ხარჯი	9,130	29,574
დაცვის მომსახურების ხარჯი	2,324	32,148
მივლინების ხარჯი	92,619	14,953
საბანკო ხარჯი	56,787	46,922
საკონსულტაციო ხარჯი	29,800	54,889
საპენსიო ხარჯი	85,109	63,892
საწვავის ხარჯი	206,340	40,048
საგადასახადო ხარჯი	7,000	517
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	640,591	641,407
მოთხოვნების ანარიცხები	124,010	334,364
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**1,289,352**	**1,294,469**

რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ჯგუფის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფმა დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. ჯგუფი ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე., როგორც ეს ასახულია შენიშვნა N8 - ში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.
ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

	ვალდებულება 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2020 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,882,548	-		-	-	2,882,548
მიღებული ავანსები	1,767,130	-		-	-	1,767,130
საიჯარო ვალდებულებები	-	-	25,749	-	1,460,777	1,486,526
ნასესხები სახსრები	-	-	1,796,493	10,232,471	-	12,028,964
გადასახდელი პროცენტები	-	-	102,168	-	-	102,168
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,649,677**	**-**	**1,822,243**	**10,232,471**	**1,460,777**	**18,267,336**

კაპიტალის რისკი

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ცხრილში ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდების ბოლოს კაპიტალის თანაფარდობა მიმდინარე სასესხო ვალდებულებებთან

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
აღებული სესხები	8,076,946	12,028,964
ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთები	(259,055)	(675,831)
წმინდა სესხი	**7,817,891**	**11,353,133**
კაპიტალი	**3,146,613**	**5,247,981**
წმინდა სესხის ფარდობა კაპიტალთან	**40%**	**46%**

საპროცენტო რისკი

ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანი და, ამდენად, რისკი მცირეა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე ჯგუფი მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ ჯგუფში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს ჯგუფის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.
ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

	31 დეკემბერი 2020		
	GEL	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	647,683	28,148	-
სავაჭრო მოთხოვნები	5,593,638		-
გადახდილი ავანსები	66,926	1,821,285	
სულ ფინანსური აქტივები	6,308,247	1,849,433	0
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,347,849	-	-
მიღებული ავანსები	1,767,130	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	102,168	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება და მისი მიმდინარე ნაწილი	4,584,156	852,421	6,577,639
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,699,134	954,589	6,577,639
სულ წმინდა პოზიცია	**(4,390,887)**	**894,844**	**(6,577,639)**

	31 დეკემბერი 2019		
	GEL	USD 1 = 2.8677 GEL	EUR 1 = 3.2095 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	254,291	4,763	-
სავაჭრო მოთხოვნები	5,513,255	-	-
გადახდილი ავანსები	113,068	2,376,668	
სულ ფინანსური აქტივები	5,880,615	2,381,432	-
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,882,548	-	-
მიღებული ავანსები	1,767,130	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	124,619	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება და მისი მიმდინარე ნაწილი	295,375	2,910,716	4,848,004
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,945,052	3,035,334	4,848,003.93
სულ წმინდა პოზიცია	**935,562**	**(653,903)**	**(4,848,004)**

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.
2020 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL 20%	EUR/GEL –20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	178,969	(178,969)	1,315,528	(1,315,528)

2019 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL 20%	EUR/GEL –20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	130,781	(130,781)	(969,601)	969,601

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ჯგუფს პერიოდის ბოლოს გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებიც არსებით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე. ისინი ძირითადად მოიცავს მოთხოვნების გადაუხდელობაზე წარმოქმნილ სასამართლო პროცესებს, რომლის ფინანსური შედეგიც უკვე ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და არ გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ)ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

	2019	
	მიღებული მომსახურება	**გაწეული მომსახურება**
დაკავშირებული მხარეები		
შპს იბერტეკ გრუპი	800	
შპს ბორან კონსტრაქშენი	2,258,276	2,725,705

	2020	
	მიღებული მომსახურება	**გაწეული მომსახურება**
დაკავშირებული მხარეები		
შპს ბორან კონსტრაქშენი	1,962,622	986,592

საანგარიშო პერიოდში, კომპანიის წამყვან მენეჯმენტზე ხელფასად გაცემული ანაზღაურება შეადგენს 46,239 ლარს.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფმა გაყიდა შვილობილი საწარმოს 100 პროცენტიანი წილი შპს იბერტეკ გრუპ-ზე ს/კ 445388394.

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში ქვეყანაში კვლავ მოქმედებს Covid-19-ს პრევენციის მიზნებისათვის დაწესებული შეზღუდვები, რაც გარკვეულწილად აისახება კომპანიის ყოველდღიურ ოპერაციებზე.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ბორან ჯგუფი საქართველოს ბაზარზე 2009 წლიდან ფუნქციონირებს. დღეისთვის ჯგუფში შემავალი კომპანიებია შპს „ბორან ლაითი“ და შპს „ბორან მაინინგ ენდ კო“. ჯგუფის მისამართია თბილისი, მარნეულის ქ. №44. ჯგუფის საქმიანობა მისი ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა. 2020 წლისთვის კი ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა:

- განათების საშუალებების და სამშენებლო პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია.
- სამშენებლო ტექნიკის და დანადგარების იჯარა

ჯგუფი ორიენტირებულია მომხმარებლისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ექსკლუზიური პროდუქციის შეთავაზებაზე.

ბორან ჯგუფის პროდუქცია წარმოდგენილია საქართველოს ყველა რეგიონში, ყველა მსხვილ, საშუალო თუ მცირე სავაჭრო ობიექტებში. ჯგუფის რეალიზაციის დიდი წილი დისტრიბუციაზე მოდის, თუმცა ასევე მოქმედებს საცალო რეალიზაციაც.

ჯგუფის პროდუქცია შეიძლება რამდენიმე ქვეკატეგორიად დავყოთ:

- განათების საშუალებები
- ბაღის მოვლა
- სამეურნეო ინვენტარი
- სანტექნიკა

სამომავლოდ ჯგუფის მიზნებში შედის არსებული ქსელის და ასორტიმენტის კიდევ უფრო გაფართოება. კომპანიის სამომავლო მიზნებში შედის შემდეგი მიმართულებები:

- კერამიკული ფილები
- ალუმინის და მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრები

ამჟამად აღნიშნული მიმართულებებით ბაზრის კვლევა მიმდინარეობს რათა დაზუსტდეს მომხმარებლების ზუსტი მოთხოვნები.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ნაწილი მოიცავს შვილობილი საწარმოს ოპერაციებს, რის გამოც აღნიშნული მმართველობითი ანგარიშგება წარდგენილია შვილობილი საწარმოს ოპერაციების გათვალისწინებით.

•ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ;

ჯგუფი შედგება ცენტრალური და რეგიონული ფილიალებისგან. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს:

- ცენტრალურ-მმართველობით ოფისს თბილისში
- რეგიონულ ფილიალს ქუთაისში
- რეგიონულ ფილიალს მარნეულში
- რეგიონულ ობიექტს ხაშის მიმდებარე ტერიტორიაზე

ჯგუფი იყენებს 4300 კვ. მ სასაწყობო ფართს. იმპორტირებული საქონლის დისტრიბუცია ხორციელდება კომპანიის თანამშრომლების მიერ ტერიტორიული პრინციპის დაცვით.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;

ბორან ჯგუფი რეგურალურად ახორციელებს ბაზრის კვლევას. თითოეული ახალი მიმართულებისა და სეგმენტისთვის სადაც კომპანია მიმართავს დამატებით ინვესტიციებს, წინასწარაა შესწავლილი. კვლევა და განვითარების დაგეგმვა მოიცავს როგორც სამომხმარებლო ბაზრის შესწავლას ასევე კომპანიის თანამშრომლების გადამზადება-ტრეინინგებს.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები;

ბორან ჯგუფი მისი დაფუძნების თარიღიდან დაწყებული, ყოველწლიურად ანვითარებს საქმიანობას. ცდილობს მიმართულებების დივერსიფიცირებას. კომპანიაში სტაბილურად იზრდება როგორც ბრუნვა და აქტივები ასევე თანამშრომლების რაოდენობა.

2020 წელს ბორან ჯგუფში დასაქმებული იყო 180-მდე ადამიანი. ჯგუფი აცნობიერებს რა ადამიანური რესურსი მნიშვნელობას წარმატებაში, რეგურალურად ახდენს თანამშრომლების მოტივაციას. მოტივაციის ფორმებად კომპანია მიიჩნევს როგორც ფულად წასახალისებას - ბონუსს/პრემიას, ასევე სხვადასხვა აქტივობებს, იქნება ეს კვალიფიკაციის ამაღლება, გასართობი ივენთები და ა.შ. კომპანიის თანამშრომლებს გააჩნიათ დაზღვევა, პანდემიის და ლოქდაუნის პირობებში კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას.

2020 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა მიმდინარე აქტივები. აღნიშნული ზრდა ძირითადად მოხდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდის ხარჯზე. აღნიშნული ზრდის მიზანი კომპანიის მიერ დაგეგმილი რეალიზაციის მკვეთრი ზრდა გახლდათ. საბოლოოდ კოვიდ სიტუაციის გათვალისწინებით კომპანიამ აღნიშნული მიზანი მეტნაკლებად შეასრულა და 2019 საანგარიშო წელთან შედარებით რეალიზაციის ზრდამ 3 831 046 ლარი შეადგინა.

2020 წელს ჯგუფის წმინდა მოგებამ შეადგინა 2 101 925 ლარი, რომელიც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატებოდა 1 069 183 ლარით.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

ბორან ჯგუფის მფლობელობაში არსებული თითოეული ბრენდი დიდი ხანია ბაზარზე არსებობს და დიდი ხანია მოიპოვა მომხმარებლის ნდობა, მისი ხარისხის და ხელმისაწვდომობის გამო.

ჯგუფი ძირითადად თანამშრობლობას ჩინურ, თურქულ და შვედურ მომწოდებლებთან. ეს წარმატებული ურთიერთობა ზოგიერთ პარტნიორთან უკვე 10 წელს აჭარბებს და მთელი ამ პერიოდის მანძილზე კომპანიის ბრენდებში გაერთიანებული პროდუქციის ხარისხი არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ.

კომპანიის მომხმარებლები არიან როგორც რიგითი მოქალაქეები ასევე მსხვილი სამშენებლო თუ სარემონტო კომპანიები. კომპანიის განათების სისტემებით განათებულია რამდენიმე მსხვილის სავაჭრო ცენტრი, ბანკები და ა.შ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

ლიკვიდობა ნებისმიერი კომპანიისთვის რისკია. ბორან ჯგუფი მიღებული მოგების პრაქტიკულად სრული რეინვესტირებით ცდილობს მაქსიმალურად შეიმციროს ეს რისკი. კომპანიის საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,54-ს შეადგენს, აბსოლუტური ლიკვიდურობის კი 0,081-ს.

სავალუტო რისკი

ვინაიდან ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის იმპორტს კომპანიას გააჩნია უცხოური ვალუტის რისკი. აღნიშნული რისკი გამოიხატება სავალაუტო კურსების მკვეთრი რყევით დაგეგმილი ფულადი ნაკადების და პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრ რყევაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციისთვის ჯგუფში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. ხორციელდება მარაგების და სხვა ნებისმიერი აქტივის რეგურალური გადამოწმება, დადასტურება და გადახრის ან ხარვეზის შემთხვევაში დაუყოვნებელი რეაგირება.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებულმა კოვიდ პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა კომპანიას 2020 წელს. ეს აისახა არა მხოლოდ სავალუტო რყევის შედეგად მიღებულ ძალიან დიდ ზარალში (საკურსო სხვაობით მიღებულმა ზარალმა 1 998 281 ლარი შეადგინა), არამედ კოვიდ პანდემიამ შეაფერხა განვითარება, რაც დაგეგმილი იყო ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლისთვის. კომპანიის გათვლით რომ არა არსებული ლოქდაუნები და შეზღუდვები კომპანიას 2020 საანგარიშო წელს უნდა მიეღო დამატებით 11 მილიონ ლარამდე შემოსავალი.

ლოქდაუნის პერიოდში როცა დახურული იყო ყველა სავაჭრო ობიექტი კომპანიამ განსაკუთრებული ყურადღება არსებული მარაგების სწორ და ეფექტურ მართვაზე გააკეთა. მნიშვნელოვანი იყო როგორც პროდუქციის ფიზიკური დაცვა დაზიანებისგან, აგრეთვე მისი დაცვა მორალური გაუფასურებისგან.
2021 საანგარიშო წლისთვის ჯგუფის და მისი მენეჯმენტის მოლოდინი მეტნაკლები სტაბილურობაა. კომპანია აღარ ელის ისეთ მკვეთრ ფინანსურ რყევებს რაც ახასიათებდა 2020 წელს, თუმცა ვერც განვითარების ის ტემპებია მოსალოდნელი რასაც კომპანია კოვიდ19-მდე პერიოდში გეგმავდა.

_____

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციისთვის ჯგუფში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. ხორციელდება მარაგების და სხვა ნებისმიერი აქტივის რეგულარული გადამოწმება, დადასტურება და გადახრის ან ხარვეზის შემთხვევაში დაუყოვნებელი რეაგირება.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა ჯგუფის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებულმა კოვიდ პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა ჯგუფს 2020 წელს. ეს აისახა არა მხოლოდ სავალუტო რყევის შედეგად მიღებულ ძალიან დიდ ზარალში (საკურსო სხვაობით მიღებულმა ზარალმა 1 960 379 ლარი შეადგინა), არამედ კოვიდ პანდემიამ შეაფერხა განვითარება, რაც დაგეგმილი იყო ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლისთვის. ჯგუფის გათვლით რომ არა არსებული ლოქდაუნები და შეზღუდვები ჯგუფს 2020 საანგარიშო წელს უნდა მიეღო დამატებით 10 მილიონ ლარამდე შემოსავალი.

ლოქდაუნის პერიოდში როცა დახურული იყო ყველა სავაჭრო ობიექტი ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება არსებული მარაგების სწორ და ეფექტურ მართვაზე გააკეთა. მნიშვნელოვანი იყო როგორც პროდუქციის ფიზიკური დაცვა დაზიანებისგან, აგრეთვე მისი დაცვა მორალური გაუფასურებისგან. 2021 საანგარიშო წლისთვის ჯგუფის და მისი მენეჯმენტის მოლოდინი მეტნაკლები სტაბილურობაა. ჯგუფი აღარ ელის ისეთ მკვეთრ ფინანსურ რყევებს რაც ახასიათებდა 2020 წელს, თუმცა ვერც განვითარების ის ტემპებია მოსალოდნელი რასაც ჯგუფი კოვიდ19-მდე პერიოდში გეგმავდა.

დირექტორი

10 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

შპს ბორან მაინინგ ენდ კო
BORAN MINING & CO LLC
205257924